



თანამშრომლობის მემორანდუმი

ბელარუსის რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შორის

ბელარუსის რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და ვაჭრობის სამინისტრო და საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მხარეები“),

გამოხატავენ რა სურვილს, ხელი შეუწყონ კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების სფეროში თანამშრომლობას მხარეთა სახელმწიფოებში,

მიზნად ისახავენ რა, ხელსაყრელი პირობების შექმნას ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის,

ხაზს უსვამენ რა, კონკურენციის მნიშვნელობას საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან განვითარებაში,

თანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მიზანი

მხარეებმა, ამ მემორანდუმის შესაბამისად, ხელი უნდა შეუწყონ და გააძლიერონ თანამშრომლობა, მხარეთა სახელმწიფოებში კონკურენციის სამართლის აღსრულებისა და კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების სფეროში.

მუხლი 2. თანამშრომლობის სფეროები

მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, თანამშრომლობა განხორციელდება გონივრულად ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ა) ინფორმაციის გაცვლა მხარეთა კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების საკითხებზე, ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მეშვეობით;

ბ) გამოცდილების გაზიარება მხარეთა სახელმწიფოებში კონკურენციის წესების დარღვევასთან დაკავშირებით განხორციელებული მოკვლევების თაობაზე;

გ) გამოცდილების გაზიარება კონკურენციის ორგანოებსა და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით;

დ) გამოცდილების გაზიარება კონკურენციის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების თაობაზე;

ე) ინფორმაციის გაცვლა და მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა, წინადადებებისა და დასკვნების მომზადება, ნორმატიული და სხვა აქტების გაუმჯობესების მიმართულებით.

მუხლი 3. თანამშრომლობის ფორმები

მხარეთა თანამშრომლობის ძირითადი ფორმები შესაძლებელია იყოს შემდეგი:

ა) კანონმდებლობის აღსრულებისა და წარმოებული საქმეების შესახებ არაკონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლა;

ბ) თანამშრომელთათვის სასწავლო ვიზიტებისა და ექსპერტების ტრენინგების ორგანიზება, სასამართლო დავებზე მომუშავე პირების ჩათვლით;

გ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა;

დ) ექსპერტების შეხვედრები ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მხარეთა ექსპერტებს შორის კონსულტაციები, ორმხრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით;

ე) მაღალი რანგის შეხვედრების/ვიზიტების ორგანიზება ორმხრივი თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივებისა და მიმართულებების განხილვისათვის;

ვ) კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით შემუშავებული, მხარეთა მიერ გამოქვეყნებული არაკონფიდენციალური დოკუმენტების, კვლევების, წიგნების გაცვლა და სხვა.

მუხლი 4. ინფორმაციის გაცვლა

ინფორმაციის გაცვლა მოხდება ინგლისურ ენაზე, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინასწარ განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით ან მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრების დროს.

მუხლი 5. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

1. მხარეები თავისუფლდებიან ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან, თუ ამგვარი ინფორმაციის გაცვლას კრძალავს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა ან კონკურენციის მიზნებიდან გამომდინარე, ეს არ შედის მხარის ინტერესებში.

2. მხარეები არ გამოაქვეყნებენ, არ გასცემენ და მესამე პირებს არ გააცნობენ ინფორმაციას, რომელიც მოძიებულია ერთობლივად, მემორანდუმის

იმპლემენტაციის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებს ასევე გააჩნიათ სხვა დამოუკიდებელი შეთანხმებები.

მუხლი 6. ღონისძიებების ორგანიზება

ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა ელემენტები, მათ შორის ფინანსური საკითხები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 7. დავის გადაწყვეტა

მემორანდუმის მოქმედებიდან ან განმარტებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები

მემორანდუმში შესაძლოა შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც იქნებიან მემორანდუმი განუყოფელი ნაწილები. ცვლილებები შესაძლოა შეტანილ იქნას დამოუკიდებელი ოქმებით, რომლებიც ძალაში შევლენ ორივე მხარის მიერ ხელის მოწერის დღიდან.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას მხარეთა სახელმწიფოთათვის საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. ამ მემორანდუმის არც ერთი დებულება არ უნდა იქნას განმარტებული

და გაგებული, როგორც მხარეთა სახელმწიფოთათვის უფლებების მინიჭება ან ვალდებულებების დაკისრება.


2. წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

3. მემორანდუმის მოქმედება შეწყდება წერილობითი შეტყობინების გაკეთებიდან სამი თვის შემდეგ.

მემორანდუმი ხელმოწერილია 2017 წლის 17 ნოემბერს, ქ. თბილისში, ორ-ორ ეგზემპლარად, ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. მემორანდუმის დებულებების განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ტექსტს.

ბელარუსის რესპუბლიკის
ანტიმონოპოლიური
რეგულირებისა და ვაჭრობის
სამინისტროს სახელით


მინისტრი



ვლადიმერ კოლოკოვიჩი

საქართველოს კონკურენციის
სააგენტოს სახელით

თავმჯდომარე



ნოდარ ხადური



MEMORANDUM

ON PARTNERSHIP IN THE FIELD OF THE COMPETITION LAW ENFORCEMENT BETWEEN THE MINISTRY OF ANTIMONOPOLY REGULATION AND TRADE OF REPUBLIC OF BELARUS AND THE COMPETITION AGENCY OF GEORGIA

The Ministry of Antimonopoly Regulation and Trade of Republic of Belarus and the Competition Agency of Georgia (hereinafter referred to as “the Parties”),

Expressing the wish to promote cooperation in the field of competition policy and competition law enforcement of the States of Parties,

Aiming at the creation of favorable conditions for the development of bilateral relations,

Based on principles of equality and mutual benefit,

Underlining the role of competition in the effective development of market economy,

HAVE AGREED as follows:

Article I. AIM

The Parties shall promote and strengthen cooperation in competition law enforcement of the States of Parties and competition policy in line with this Memorandum.

Article II. FIELDS OF COOPERATION

In the mutual interest of the Parties, cooperation will be realized in the following basic directions subject to reasonably available resources:

- a) exchange of information on legislative developments of the States of Parties in the field of competition aimed at improving law, taking into account the experience of the States of Parties;
- b) exchange of experience in the field of investigations, regarding the violation of competition rules of the States of Parties;
- c) exchange of experience regarding the relations between competition authorities and national regulatory agencies;
- d) exchange of experience in the field of competition advocacy;
- e) provision of information and methodological assistance, preparation of proposals and conclusions in the development of normative legal acts and other complex legal acts in the field of competition.

Article III. FORMS OF COOPERATION

The main forms of the Parties interaction may be as follows:

- a) exchange of non-confidential information on legislative developments and cases;
- b) organizing study visits and experts training including those who working with court cases;
- c) attendance at international conferences, symposiums, seminars and other events organized by the Parties;
- d) expert meetings or consultation via e-mail between experts of the Parties regarding exchange of non-confidential information on specific issues of mutual interest;
- e) organization of high level-meetings/visits for discussing the perspectives and directions in which the bilateral cooperation will continue;

f) exchange of non-confidential documents in the field of competition policy, studies, books etc., which have been published by the Parties.

Article IV. EXCHANGE OF INFORMATION

The transfer of information will be made in English by post and e-mail through designated general contact points or on the occasion of Parties' representatives' meetings.

Article V. INFORMATION CONFIDENTIALITY

1. No Party will be obliged to provide information to the other Party if the transfer of such information is prohibited by the law of the State of the Party owning this information, or if it is will not be in the interests of this Party when it applies competition law.

2. The Parties will not publish, transfer or acquaint third parties information accessed through joint activities for the implementation of this Memorandum except cases where the Parties have separate agreements.

Article VI. ORGANIZATION OF ACTIVITIES

The agenda, place and other elements of activities, including financial aspects, shall be individually established by Parties by mutual agreement.

Article VII. DISPUTE RESOLUTION

Disputes regarding the interpretation and implementation of the present Memorandum, if any, shall be settled by the means of consultations and negotiations.

Article VIII. CHANGES AND ADDITIONS

The Memorandum may be changed and supplemented, which are its integral parts, made out by separate protocols that enters into force on the date of its signing by mutual consent of the Parties.

Article IX. FINAL REMARKS

1. This Memorandum is concluded with a view to enhancing and developing cooperation between the Parties and does not constitute an agreement binding upon the States of the Parties under international law. No provision of this Memorandum shall be interpreted and implemented as creating legal rights or commitments for the States of the Parties.

2. The present Memorandum is concluded for an unlimited period of time and enters into force on the date of its signing.

3. The Memorandum will expire after three months from the date of receipt by either Party a written notification to the other Party of its intention to terminate it.


Done in Tbilisi on 17 November 2017, in two copies, each in the Russian, Georgian and English languages, each text being authentic. In case of divergence in interpretation, the English text shall prevail.

**The Ministry of Antimonopoly
Regulation and Trade of Republic of
Belarus**



**Vladimir Koltovich
Minister**

**The Competition Agency of
Georgia**



**Nodar Khaduri
Chairman**



МЕМОРАНДУМ

О ПАРТНЕРСТВЕ В ОБЛАСТИ ПРАВОПРИМЕНЕНИЯ АНТИМОНОПОЛЬНОГО ЗАКОНОДАТЕЛЬСТВА МЕЖДУ МИНИСТЕРСТВОМ АНТИМОНОПОЛЬНОГО РЕГУЛИРОВАНИЯ И ТОРГОВЛИ РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ И АГЕНТСТВОМ КОНКУРЕНЦИИ ГРУЗИИ

Министерство антимонопольного регулирования и торговли Республики Беларусь и Агентство по конкуренции Грузии (далее именуемые «Стороны»),

Выражая желание содействовать сотрудничеству в области конкурентной политики и правоприменению антимонопольного законодательства государств-участников,

Стремясь создать благоприятные условия для развития двусторонних отношений,

Основываясь на принципах равенства и взаимной выгоды,

Подчеркивая роль конкуренции в эффективном развитии рыночной экономики,

ДОГОВОРИЛИСЬ о нижеследующем:

Статья I. ЦЕЛЬ

В соответствии с настоящим Меморандумом Стороны будут развивать и укреплять сотрудничество в области правоприменения антимонопольного законодательства государств-участников и конкурентной политики.

Статья II. ОБЛАСТИ СОТРУДНИЧЕСТВА

Во взаимных интересах Сторон сотрудничество будет осуществляться по следующим основным направлениям при условии наличия достаточных ресурсов:

а) обмен информацией об изменениях в законодательстве государств Сторон в сфере конкуренции с целью совершенствования законодательства, принимая во внимание опыт государств Сторон;

б) обмен опытом в области расследований в отношении нарушения правил конкуренции государств Сторон;

в) обмен опытом относительно взаимоотношений между органами по вопросам конкуренции и национальными органами-регуляторами;

г) обмен опытом в области адвокатирования конкуренции;

д) предоставление информации и оказание методической помощи, подготовка предложений и заключений при разработке нормативных правовых актов и других комплексных юридических актов в сфере конкуренции.

Статья III. ФОРМЫ СОТРУДНИЧЕСТВА

Основными формами взаимодействия Сторон могут быть следующие:

а) обмен информацией неконфиденциального характера о законодательных изменениях и рассматриваемых делах;

б) организация учебных поездок и подготовка специалистов, в том числе работающих с судебными делами;

в) участие в международных конференциях, симпозиумах, семинарах и других мероприятиях, организуемых Сторонами;

г) совещания экспертов или консультации по электронной почте между экспертами Сторон относительно обмена неконфиденциальной информацией по конкретным вопросам, представляющим взаимный интерес;

д) организация встреч/визитов на высоком уровне для обсуждения перспектив и направлений двустороннего сотрудничества;

е) обмен неконфиденциальными документами в области конкурентной политики, исследованиями, книгами и т.д., которые были опубликованы в государствах Сторон.

Статья IV. ОБМЕН ИНФОРМАЦИЕЙ

Передача информации будет осуществляться на английском языке по почте и по электронной почте через назначенных общих контактных лиц или в ходе совещаний представителей Сторон.

Статья V. КОНФИДИЦИАЛЬНОСТЬ ИНФОРМАЦИИ

1. Ни одна Сторона не будет обязана сообщать информацию другой Стороне, если передача такой информации запрещена законодательством государства Стороны, владеющей данной информацией, или если это не будет соответствовать интересам данной Стороны при применении ею антимонопольного законодательства.

2. Стороны не будут публиковать, передавать или ознакомливать третьих лиц с информацией, доступ к которой получен в рамках совместных мероприятий по реализации настоящего Меморандума, за исключением тех случаев, по которым у Сторон имеются отдельные договоренности.

Статья VI. ОРГАНИЗАЦИЯ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Повестка дня, место и другие элементы деятельности, включая финансовые аспекты, устанавливаются Сторонами по взаимному согласию.

Статья VII. РАЗРЕШЕНИЕ СПОРОВ

Споры относительно толкования и применения настоящего Меморандума, если таковые имеются, разрешаются путем консультаций и переговоров.

Статья VIII. ИЗМЕНЕНИЯ И ДОПОЛНЕНИЯ

По взаимному согласию Сторон в настоящий Меморандум могут вноситься изменения и дополнения, являющиеся его неотъемлемыми частями, оформляемые отдельными протоколами, вступающими в силу с даты их подписания.

Статья IX. ЗАКЛЮЧИТЕЛЬНЫЕ ПОЛОЖЕНИЯ

1. Настоящий Меморандум заключается с целью расширения и развития сотрудничества между Сторонами и не является соглашением, обязательным для государств Сторон в соответствии с международным правом. Никакое положение настоящего Меморандума не должно толковаться и применяться для создания юридических прав или обязательств государств Сторон.

2. Настоящий Меморандум заключается на неопределенный срок и вступает в силу с даты его подписания.

3. Настоящий Меморандум прекращает свое действие через три месяца с даты получения одной из Сторон письменного уведомления другой Стороны о ее намерении прекратить его действие.


Подписано в Тбилиси 17 ноября 2017 г. в двух экземплярах, каждый на русском, грузинском и английском языках, причем каждый текст является подлинным. В случае расхождения в толковании, преимущественную силу имеет текст на английском языке.

**Министерство
антимонопольного
регулирования и торговли
Республики Беларусь**



**Владимир Колтович
Министр**

**Агентство конкуренции
Грузии**



**Нодар Хадури
Председатель Агентства**